


საქართველო



ლით. დემურკისა. თბილისში

სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაბთიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 30.

ივლისის 16, 1893 წ.

№ 30.

წინასწარ: — * * * ლექსი დეტე მეგრელისა. — ერეკლე მეფე II გ. წერეთლისა. — ბატონი შვილი ეკატერინე, (ისტორიული ამბავი) თეოდ. ხუსცივაძისა. — ბაგრატ III იმერეთისა, თუ ბაგრატ V დილია, გ. წერეთლისა. — ქრისტეფორე კოლუმბი რ. ჯაჯანაშვილისა. — * * * ლექსი, კნ. ნ. ორბელიანისა. — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ბუნების მეტყველების მოყვარისა. — განცხადებანი ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან.

«ვე» ილისა და «კვადის» რედაქცია გადავიდა დიდი ვოლოფოზნის ქუჩაზე ბიჭვანოვის სახ. № 22

* * *



ემი ზღვის ტალღებს აბობს, მისცურავს, ეუახლოვებათ თან-და-თან მამულს და რად ვარ ასე დაღონებული, რად ჩვეულებრივს არ გერწმობ სიხარულს?

წინად არ იყო, კაკავს იასქელს დაინახვდა თუ არა თვალთ, გული სიამით მიწეუბდა ძგერას და მიფრთხილებდა სულს რაღაც ძალი?

მეუ სხად რა?... რა თეიჭებთა, თაკს რომ მეხვევა აზვირთებული? ან ეს მე ხვერობა წინანდელთაგან რით არას ასე განსხვავებული?

ამდ რომ მამის მსოფლად დროებით, უცხო ბუნებას კერ შეჩვეული,

ვეშურებოდი სამშობლოსაკენ, ვით შეურნალისკენ სუსტი, სნეული;

დაღეს ვი მივდივარ იქ სამეფამოად და, აი, როცა ვუეურებ იმ მიწეს, ასე შეინას, მათზე დაწვრილს, გრესლებრ ანთებულს, ესედავ ამ სიტყვებს:

„აბა, შენ იცი, ვით გადაუხდო სამაგეიროს შენს მამულსა? რა სამსახურისა, გაუწეე ბედერულს, რა წამლს დასდებ მის მრავალს წელულსა?...“

და მეც ბრძოდის წინ ვით მეომარი, უთეიჭებდი ჩემს მოავლოვას და დედას ლეოსისს, რომ ვუშველო რამ მის ხკედრს ჩემს მამულს, ესთხოვე შეშვობას!...

დეტე მეგრული

მეფე გიორგი II



ომ ცხადთ აღმოჩნდეს „კეკლის“^{*} წინა ნომერში წარმოთქმული ახრი ერეკლე მეფის შესახებ, საქირაა თვალი გადავავლოთ მის წინა-დროების პოლიტიკურს მდგომარეობას აღმო-საველითასა.

საქართველოს ერს მჭვირდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ორი დიდი ვეშაპი ადგა კარს, რომელნიც ცდილობდნენ მის შთანთქმას. ერთი იყო ოსმალეთი და მეორე სპარსეთი. ისმაილ-შინმა და სოლიმან პირველმა საქართველოს ერთი გაინაწილეს ერთმანეთში. ოსმალების ერგო დასავლეთის საქართველო და სპარსეთს აღმოსავლეთისა ლიხის მთას აქეთ. ამ მაჰმადიანმა სახელმწიფოებმა მით უფრო დაიმორჩილეს საქართველოს ერთი, რომ წითს ხალხებს შორის განაერკელეს მაჰმადიანობა და გარეშემოარტყეს საქართველო - ქრისტიანობას მაჰმადიანობის რკალი. ამ სახით ორმა ვეშაპმა კლდები მოიქნეს და თვის მსხვერპლს შემოეხეიერ ჯერ მოსაშობათ და მერე ჩასანთქმელად. აი, ამ დროს საქართველოს გამოუჩნდნენ ორნაირი პოლიტიკის შიმდევიანი მეფეები: ერთს ეკუთვნოდნენ როსტომ მეფე (ხოსრო მირზა ხანი) და ვახტანგ V (შაჰნავაზი), მეორე მიმართულეებისანი იყვნენ ვახტანგ მეექვსე კანონ-მდებელი და თეიმურაზ პირველი.

შემოხსენებული მიმართულების მეფენი თუმცა სახით მაჰმადიანები იყვნენ, მაგრამ გულთი მართამ დედოფლის ზედ-გაუღენით შეიქნენ ქრისტიანნი და წამდღირნი გულ-შემატკიარნი თავის ერისა. იმათი შორს-გამსჭვრეტი პოლიტიკა მიხედვად შემდეგ პროგრამას: საქართველოს ერთი ღონემიღებული რუსულ-მობრძაივით ფიქრობდნენ ისინი და ჰირს გაძლგება უნდაო. ჩიენ უნდა ეცადათ ჩიენი გარეგანი მაჰმადიანობით მივაძინოთ ვეშაპები, რომ საქართველოს ერს შინაგან ცბოერებაში მიეცეს მოსვენებაო. ვიზრუნოთ მხოლოდ ქვეყნისთვის, ერის გასამრავლებლად, გასამდიდრებლად და ქრისტეს სარწმუნოების გამტკიცებისათვისო. აი, ამის გამო ისინი გარეგნობით შეიქნენ შაჰბასის და შაჰსეფის ყურმოკრილი ყმები, ვითომც მაჰმადიანნი. ამით დააუწყეს და მიაძინეს ქრისტიანობის სასტიკი მტერი. ამასთანავე რომელს ერისთავსაც ქვეყნის ორგულად და სთელიდენ და შინაური ხელმწიფობის გაძლიერების მოწინააღმდეგე იყო, იმას იპყრობდნენ და უგზავნიდნენ სპარსეთის შახებს. ამით კიდევ უფრო იმადლიერებდნენ სპარსეთის ხელმწიფეს

და ამასთანავე თავიდან იშორებდნენ ქვეყნის საქმის ამრევს და მაშფოთრებს. რაკი შინაგან გამეგობაში ისინი სრული თავისუფალნი დარჩენ, მოჰყვენ ქვეყნის პატრონობას. დაიწყა მოდენა უცხო ქვეყნებში გადახიზნულმა ქართველობამ და თან-და თან აავსო გავერანებული ადგილები. მაჰმადიანის სარწმუნოების მეფეებმა დაუწყეს დაქცეულ ეკლესიებს შენება-საღვდლოებამ განამშენეს სარწმუნოების მსახურება და დაუწყა ერს წერთა ზნეობით. როსტომ მეფე ამასთანავე ძალიან ცდილობდა ეპტობისა, მრეწველობისა და ცოდნის გავრცელებას. იმან შეიწინარა ევროპიდან მოსული განსწავლული მისიონერები, მიიღო ისინი თავის კარზე და ბევრს უჯერადა მათ ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებში. თეთი კაპუტინის მღვდლები მის კარის ექიმებად შეიქნენ. მან ვაჟმუნდინა ძველი არხები და ცდილობდა ლევენ დადიანთან დამოყვრებით იმერეთშიაც ჩავგლო მომავალი ერთობის ბურჯები. მის სიკვდილს შემდეგ ვახტანგ V (შაჰნავაზი) მიყვა მის კვალს, შერთო სახელოვანი დედოფალი მარია, ქერივი როსტომ მეფისა, და კიდევ უფრო განამტკიცა დედოფლის გავლენით ქრისტიანობის საქმე. ამას გარდა იგი შეუდგა ახალი არხები გაყვანას, რომ საქართველოს ერს სარწმუნო აღ-გიღენი გამრავლებოდა და ვაგუმჯობესებულ იმერეთში კეთილმდგომარეობაში შესულიყო. იმან გააპოხიერა მთის წყლების დაგუბებით შაქი-შირვანის მინდერები, ყარაიის ადგილები და ყაზახ-ბორჩალოს ელი მიანეია პურის თესვას და არხების კეთებას. იმან ისარგებლა იმერეთის არეულობით და შეუერთა იმერეთი ქართლს. მის დროის მანეთებზე ხომალდები და თევზება გამოხატულა, რომელიც გემ-საღვდის საბუთს, რომ იკი ნაიონსობას და შვიხლების პირების დაუცვას ოსმალების მეკომარობისაგან დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ერთი სიტყვით ეს გარეგნობით მაჰმადიანი მეფეები სპარსეთისა და ოსმალების ხელმწიფეების ნდობას იძენდნენ და აყუჩებდნენ მათ ლენას ქრისტიანებზედ, იმავე დროს ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ შინ სულ-მობრძაივი ერთი სვე ფხზე დაეყენებინათ, გაემდიდრებინათ, გაეპრავლებინათ და გაემლიერებინათ მშვიდობიანობის მიწიკებით. მათი შორს-გამსჭვრეტი პოლიტიკა უარს ჰყოფდა ბროლოს და გმირობის სახელოს გამოჩენას, რადან ყოველი განხეთქილება გარეშემოსულ მტრებთან უმისობათა ცალატყებული და ღონით დაეარდნილი ქვეყნისათვის, საქართველოს დამამხოველი იყო.

სულ წინააღმდეგ ამ გვირის პოლიტიკისა იქცეოდნენ თეიმურაზ პირველი და ვახტანგ მეექვსე. იმათ

* იხილეთ „კეკლი“ № 28.

წარმოუდგათ განვიადებულად ძალა მაშინდელის მართლმადიდებლის რუსეთისა. დიწყეს მათთან პოლიტიკურის კავშირის ძიება, ითხოვდნენ მათთან ქვეშევრდომობის მფარველობას. მაგრამ იმ დროს რუსეთის მართლმადიდებელს მეფის არც შესავფერი ძალა ჰქონდა, არც იმდენი ღონისძიება, რომ სამი ათასი ევრისის სიშორიდან მართლაც ხელი გამოეწვინათ თანამორწმუნე ქართველის მეფისა და ერისთვის. და რომ კიდევ შესძლებოდათ ხელისგამოწვლა, გზასაც ვერ იპოვიდნენ მოსაშველებლად, რადგან ჩრდილოეთის მთის ხალხები რუსის ჯარს ვერ შემოუშვებდნენ და ზღვები კი ქრისტეს სარწმუნოების მოსისხლე მტრებს ჰქონდათ ხელში: შავი ზღვა ოსმალეთისა იყო და კასპიის ზღვას სპარსეთისა.

იმის მაგიერად რომ ისინი შინ დარჩენილიყვენ, თავის ხალხისთვის ევატრონებიათ და მოაჩიღებით მოეუღბოთ ჯერ კიდევ ძლიერი მტრების გული, ისინი არ იშლიდნენ დროების შეუფერებელს ინტრიგებს და დიწყეს უთავებოლო. მგზავრობა რუსეთის თვალგაუწვინდელ მინდერებზე. მიატოვეს საქართველოს ერთი უპატრონოდ და ჩაავდეს გამძვინვებულ მტრის ხელში.

რაკი ხვანთქარი და სპარსეთის შაჰი დარწმუნდნენ, რომ საქართველოს მეფეები რუსეთთან ქვეშევრდომობით და მოკიდებულებას ეძებნენ, მეტად გაჯავრდნენ და იმათ გულის ჯვარს საწყალ ლეთის ანაბარად მივდებულ საქართველოს ერზე ყრილობდნენ. ასეთმა შორს-განუტყერტელმა პოლიტიკამ ქრისტიანულ მეფეებისამ ატება საშინელი ბრძოლა, შემოსევა და განადგურება საქართველოს ერისა. რაც როსტომ მეფემ და ვახტანგ V (შაჰნავაზმა) სიკეთე დასთესეს საქართველოში, ვახტანგ მეექვსისა და თემურაზ პირველის მოუფიქრებელი პოლიტიკით სულ აფორიაქდა და წყალს მიეცა. იმათი წყალობით ატეხილმა მამპლდიანობამ საქართველოს ერთ და მისი მიწა-წყალი განაახევრა. დადგა მეთორამეტე საუკუნე. რაკი ვახტანგ მეექვსე რუსეთს გაიქა, მთელი ოციის წლის განმავლობაში ქართლს პატრონი აღარ ყოლია. იმას განავებდა უბრალო ნაიბი და ექვილი სპარსეთისა. ამ დროს კახეთში გამეფდა ერეკლე პირველის შვილი თეიმურაზ მეორე. მას ჰყავდა მამის ნუგეში პატარა კახი, ერეკლე, თანაშემწედ. რაკ მდგომარეობაში იყო ამ დროს სპარსეთი და ოსმალეთი?

დიდმა ომებმა აესტრიასთან, პოლშასთან და რუსეთთან, ოსმალეთი თან-და-თან დასუსტა. მინიხმა ახოვი წართვა, პოტემკინმა ყირიმი და ბესარა-

ბია გამოავლიჯა. სუეორი შეეცა თვით რუმინიაში და დუნაის ნაპირებამდის მოსწყვიტა ოსმალეთს. აესტრიაში სლავიანების ადვილები და აღრიატლის ზღვა წართვა. დასუსტდა, მეტად დასუსტდა ოსმალეთი. მაგრამ იმაზედ კიდევ უფრო ბოლო მოელო სპარსეთს მეთორამეტე საუკუნეში. დიდმა ომებმა შაჰაბასისამ სპარსეთის ერთი გაალარია. მის სიკვდილს შემდეგ მოხდა შინაური ამბოხება მის მხედართ-მოთავრებსა და მემკვიდრეს შორის. შეიქნა სპარსეთში ერთმანეთის ელეტა. ბოლოს წამოჰყო თავი ერთმა მხედართმოთავარმა თამაზ ყაჯარელმა, რომელმაც გასწყვიტა შაჰსეფის მემკვიდრეები, თვით დაიპყრა სპარსეთი და იწოდა ნადირშაჰი. ამან გამართა ხელახლად დიდი ომები: ინდოეთი, ავღანი და დიდი თურქისტანი დაიპყრა. მას თან ახლდა ირაკლი მეორე, რომელმაც დაიმსახურა ისეთი სიყვარული ნადირ-შაჰსი, რომ როცა ინდოეთიდან მობრუნდა, ერეკლე კახეთის მეფედ გახდა და თემურაზ მეორე ქართლის მეფედ. ამ სახით დაუდგათ მამა-შვილს შევნიერი დრო. იმათ შეავრთეს ქართლ-კახეთი; ამას გარდა ნადირ-შაჰმა დაუფორიოლა მათ განჯისა და ერევნის ხანები. რაკ უნდოდათ მეტი? ოსმალეთი კრინტს ევლარ სტრაედა. სპარსეთში ცოტას ხანს იქით მოჰკლეს ნადირ-შაჰს მისი მემკვიდრენი დაერიენ ერთმანეთს. ამ დროს ქართლ-კახეთს გარეშე მტერი აღარ ჰყავდა.

ახლა ეკითხვით როგორ გამოიყენეს მამა-შვილმა მეფეებმა თავისი შევნიერი დრო?...

სანამ თეიმურაზ მეორე ცოცხალი იყო, ქართლ-კახეთის სამეფო ჩინებულად მიდიოდა. ერეკლე მხოლოდ მხედართ-მოთავრობდა; თეიმურაზ მეორე კი ბრძნულს პოლიტიკას მისდევდა. იყო შვიდობიანად და სარგებლობდა შვილის მხნეობით, განიმტკიცა ერთგულებით განჯისა და ერევნის ხანები. სხვა თათრის ხანებიც კაცკასიის ნიადაგზედ დიდ პატივს სციმდნენ ქართლ-კახეთის მეფეებს და მათი ყომა ენატრებოდნენ; მაგრამ როცა თეიმურაზ მეორე მოკვდა, ერეკლე მეფემ აიშეა თავი და მეტად გაამყა. იმან განიზრახა ოსმალეთისა და სპარსეთის დახმობა იმეორატრიათს ევატრინე მეორას შემწეობით.

მან გაჯახნა ელჩი იმერატრიცასთან და შეუთვალა, თუ ჯარს მომავლელებ მე აქედან დაეკრავ ოსმალეთსო და აზრუამდის დაეიპყრობო. მართლაც, იმერატრიცა ევატრინე გრძობდა, რაკ დიდი დახმარებაც შეეძლო. ერეკლეს ახალ განზრახულ ომინაობაში.

ოსმალეთი მტირე აზიის ჯარებს ევლარ მოიშველიებდა დუნაისკენ, რაკი ერეკლე მეფე დაუწყებ-

და კავკასიის ვადმოღობით მუქარას. იმპერატორსამ დიდი სიამოვნებით გამოუყვანენ ერთი პოლიტიკოს ტოტლენბენის თაოსნობით. კავკასის მაჰმადიანებს და დალისტინის ხალხს თავზარი დაეცათ, რუსის ჯარი რომ საქართველოში დანიანეს. იმათ იფიქრეს, თუ ერეკლეს არ აუტყებთ რამე, ჩვენი დღე დათვლილიაო. ეს რომ ხიანთქარაჲ შეიტყო, სულ ცეცხლი მოიკიდა: ერეკლე აღარ ხუმრობსო, ჩვენს მოსისხლე მტრის და ჩვენი ძალის დამაშხობელს რუსეთის იმპერატორსაც შეუფერთდაო. მაშ მტრობა როგორც უნდა მე მიყუროსო. უბრძანა დიარბეჭირის, აზრუმის და ახალციხის ფაშებს, რომ ყოველი ლონისძიება ეხმარათ ერეკლეს სამეფო გაენადგურებიათ. ამ სახით ცალმხრით აზრუმისა და ახალციხის ფაშები ატყდენ, მეორე მხრით იმათ გაგზავნეს თავისი აგენტები დალისტანში და მთელი დალისტინის ხალხი ვადმოსიეს საქართველოზედ. ამისგულისთვის ისინი ფულს არ ზოგადდენ ლეკების შესასყიდათ. ამიერიდან შეიქადა დაუცხრომი ვადმოსიევა საქართველო-იმერეთში დალისტინის ურდოებისა. მესამე მხრით ნუხის ხანმა აჯიხალაბმა შეიკაფშირა ყველა თათრის ხანები და ამართა სარწმუნოების ბრძოლისათვის მაჰმადის დროშა. ამ გაჭირებულს მდგომარეობაში რუსეთის ჯარმაც უმტყუნა და მიატოვა ერეკლე.

მას აქეთ კავკასიის მაჰმადიანობა მუდამ მგლის ხროსავით შემოსეული ჰყავდა ერეკლეს, რომელმაც მთელი თავის საშხებლო ნიჭი და მთელი თავის ერის ძალა 1780 წლიდან დაწყებული თუთხმეტ წლის განმავლობაში მათ ზედ შეეკლა; მაგრამ მაინც ეერას ვახდა. აი, ამ დროს სპარსეთმაც იშოვა დრო. იქ გამეფდა აღამაჰომედ ყაჯარი, რომელმაც განაზრახა ერეკლეს საბოლოოდ დამხობა და მისი სამეფოს განადგურება მხოლოდ იმის გულისთვის, რომ იგი შევიდა რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას ქვეშე. აღა-მაჰომედ-ხანი გამოემართა ერეკლეს დიდი ჯარით, როგორც გამძვინვრებული ლომი. ერეკლეს ამდროს რუსეთი შორს დარჩა. სპარსეთმა არხენად შთანთქა უკანასკნელი ძალა ქვეყნისა და გაუქარწულა ერეკლეს ყველა იმედები. ერეკლემ ველარ აიტანა ასეთი უბედურება და ჯარით მოკვდა. მის მიერ შეკრულმა ტრაქტატმა

რუსეთის იმპერატორსათან ზოლოს გამოიღო შესავფერი ნაყოფი. განადგურებულმა ქვეყანამ და ლონე-გამოლეულმა საქართველოს ერმა რუსეთის ხელმწიფობას შეეფარა თავი და მიანდო თავის სეე-ბედი აღექვანდრე პირველსა. ეს მოხდა 1801 წელსა.

აქედან ცხადად დანიანხავს ყველა, რომ რამდენათაც ერეკლე შეეღებოთ დაჯილდოებულნი იყო სამხედრო ნიჭით, იმდენათ სუსტი მოსაზრების პატრონი გამოდგა სახელმწიფო პოლიტიკაში. როგორც ზემოთ მოვისხინეთ, იმას დაუდგა შეენიერი დრო. მის დროს ოსისლეთი და სპარსეთი ძალიან დასუსტდენ. რატომ არ მისარგებლა მან ასეთი კეთილი გარემოებით?...

ის უნდა მისცემოდა მხოლოდ შინ ერის საქმეების მზრუნველობას, მორიდებოდა ყოველგვარ განხეთქილებას გარეშემოსეულ კავკასიის მაჰმადიანებთან. მას არ უნდა აედლებებინა კავკასიის მაჰმადიანობა რუსეთის ჯარის მოწყვეთი. რა მისი სქმე იყო იმ დროს რუს-ოსმალის ომში გარეგნა? იმპერატორის ეკატრინეს საელოვანი მხედართ-მთაერები მის დაუმხარებლად და მამარცხებდენ და კიდევ უფრო დაასუსტებდენ ხონთქრის ძალას. მაშ ის არ სჯობდა, რომ ერეკლე თავისთვის ყოფილიყო? ან ალარც აღა-მაჰომედ ყაჯარსეი იძიებდა შურს საქართველოზედ. და ეს რომ ასე მომხდარიყო, მაშინ ერეკლე მეფის გაუტყებელი და ძლიერი ხასიათი ადვილად შელავამედა ერისთავების თავგასულობას. მხოლოდ შინაურს საქმეებზედ მიტყეული მისი მკვირცხლი გონება ადვილად გაუმკლავდებოდა თავის შინაურ ოჯახის უთანხობებსაც; იგი გამოსცმდა წესიერს კანონს შემადგობისას, გააღწიებრებდა თავის ერს ხანგრძლივის მშვიდობიანობით და ამ სახით სრულიად უზრუნველად ვადმოდგამდა ნაბიჯს მეცხრამეტე საუკუნეში, როცა თეთი ევროპის განათლება ძლიერად შემოსჭერებდა შვიი ზღვით და მისცემდა საქართველოს ახალს ძალას, მოუღვენდა თეთარის გონების განვითარებას. მაგრამ ყველა ეს იმედები და მოსაზრებანი ერეკლე მეფის დაუცხრომულმა ხასიათმა, მისმა მუდამმა ბრძოლამ, განუწყვეტელმა შუთთანმა ცხოვრებამ სულ გააკრუა და უქადა შეეკლა ქართლ-კახეთის ერის ძალა.

ა. წერეთელი.

ბ ა ბ ო ნ ი შ ვ ი ლ ი მ ა ბ ა ტ რ ი ნ ე

(ისტორიული ამბავი)

II

წანამ ეიტყოდეთ, რა დენამართა მთავრის ასული ეკატრინეს შემღვწეში, ან როგორ მდგომარეობაში მოემწყვდა მისი ახალგაზღვლი ცხოვრება — ვერ რამდენიმე სიტყვებით განვიმარ-

ტათ მის აღზრდას და მის ნამდვილ ქრისტიანულ სარწმუნოებას.

მთავრის ასული ეკატრინე იყო იმ გვარად აღზრდილი და გონება-განვითარებული, როგორც იზრდებოდენ და ვითარდებოდენ იმ დროინდელი თვად-აზნაურების შეილები სასახლეში. აქ ამ დროს ბურჯი და საფუძველი ყოველგვარ აღზრ-

დისა უსათუოდ სარწმუნოება უნდა ყოფილიყო; ამხედრდებოდა შემდეგი ყოველგვარი კეთილშობილური ცოდნანი და გრძობანი თავადის ქალებისსა.

ამ მიზნის გასახორციელებლად პირველ დაწყებითი სწავლის დროს სახელმძღვანელო წიგნებით ითვლებოდა დაეთინი, სახარება, სამოციქულო, ბიბლია ლოკენი და სხვა საეკლესიო წიგნები, რომლებიც კეთილშობილთ ახალგაზდა ქალიშვილებს ისე განიერდა და რწმენით ჰქონდათ შეგნებული და შესწავლილი, რომ ბერის სამღვთა წერილის მკონდ მღვდლებსაც გაუტყრდებოდათ მათთან შედეგება და ბასი.

საერო განათლება უფრო ხელმოკლე იყო. სრულებით საქმარისი იყო, რომ ქალს ხელსაქმარი, ჰქარგვა, ქსოვა და ჰრა ჰმარჯებოდა. ამასთან შესძლებოდა ძველი წმ. მამების ამბები მოთხრობებით გადმოცემა, მოკითხვის წიგნების წერა და შედგენა შესძლებოდათ, გმირულ მოთხრობების კითხვით გაეხსნათ შინ მყოფის გონება და აღეძრათ მათში სიმამაცე და კეთილშობილური გრძობა. ერთი სიტყვით განეთარებულნიყვნ სასარგებლოდ ქვეყნისა და მოაჩიღნი ყოფილიყვნ უფროსებისა და ქმებისა, ამ გვარი აღზრდა წიგნებით უფრო მაღლა იდგა ვაყების აღზრდაზე ვაყებისთვის საჭირო იყო, რომ მხოლოდ საზნებლო ვარჯიშობაში და სიმარდში ყოჩადნი ყოფილიყვნ. რაც უფრო დიდ ხანს რჩებოდა ქალი ოჯახში, იმდენად უფრო მაგარად და საიმედოდ იდგადა მასში ფესვებს რელიგიური რწმენა და ეს გრძობა იმდენად დიდდებოდა ყოველ გასათხოვარ თავადის ქალში, რომ უბრალოდ რამ ქრისტიანულის წესის წინააღმდეგი მოვლენა დიდ უბედურებათ მიუხდათ. ქართველი ქალის გათხოვება და რაიმე მიზეზით სარწმუნოების შეცვლა სიკვდილის მგზავსი იყო. ამ გვარ გრძობებს დედები თავის რძესთან ერთად აწობდენ, კვებოდენ აკენშივე თავიანთ შვილებს. ის, სწორედ ამ გვარად იყო აღზრდილი მთავრის შვილი ეკატერინე.

მხოლოდ დედას შეეძლო და ისიც იშვიათ შემთხვევაში ქალების ამ გვარი შეხედულება სარწმუნოებაზე შეეცალა, მაგრამ ეკატერინეს დედა კარგა ხანია გადაეცალა. საცოდავს ეკატერინეს ის უფრო აწუხებდა, რომ ჯერ თათრები ძრიელ ეტრეზოდენ ქართველ ქალებს და მერე დედისგან გაგონილი ჰქონდა თავისი სიღამაზის ამბავი და ეს უფრო აწუხებდა და ჰქენჯნიდა საბრალოს.

ამ დროს მთავრის შვილი ეკატერინე თექვსმეტი წლის იყო, მაგრამ რომ იტყვიან მზე და მთავრე-

საგით ბრწყინავდა. თუმც ბევრი მწუხარება და ჯაფამოუვლელობა ნახა მისმა ნახმა და ნორჩმა აცუბულობამ გზაში მგზავრობის დროს, მაგრამ მისი ლოყების და მთელი პირის კანის წითლად აყვავებულ ფერის მგზავსი საგანი ძნელი მოსაპოვებელი იყო ქვეყანაზედ.

სქელს და მაცალასავით შავს წარბებს ქვემოლაშისით გამოიყურებოდენ შავი, ცეცხლის მფრქვევი სიკოცხლით და კეთილშობილებით საესე თვალები, შემოსხვილი მწყობრად გძელი წამწამებით. ვისთვის უნდა გადაეცოლა ამ გვარი ღირსებით აღჭურვილი თვალები, რომ ეშხით და სიყვარულით არ დაეწვა არ დაედგა. ამასთან მისი მაღალი და წერილი ტანადობა, არწივის მგზავსი, დიდაცაური დინჯი სახის გამომეტყველება უნებლიედ იმორჩილებდა მწახველს და მუხლს იღრეცდა მის შეწიერების წინაშე.

კონსტანტინოპოლის ქალაქში მისეღის დროს, როგორც ზევითაც ვსთქვით, დიდს ამბით და ოვაციით მიიღო. სულთანმა ობლები და მისი ამალი. ცალკე სასახლეში დააბინა და დიდი ჯამაგირები დაუნიშნა.

კამდენსამე დღეს შემდეგ, ერთს შეწიერს დილას მათს სასახლის ეზოში შეწიერი მდიდრულად მოართული ეტლი შემოვიდა და გაჩერდა. ეტლიდან სულთანის გამოგზავნილი მოხელე გადმოვიდა, თ. დ. მაჭუტაძე გამოისმნო, სულთანის გამოგზავნილი საჩუქრები გადასცა და თან გამოუტყდა უმაღლესი მოწყალების დაჯილდოება მათი, მით რომ მცირე წლოვანის მთავრის შვილების დაეთის და მისის დის ეკატერინეს პირადად ნახვა მოისურვა სულთანმა და, აი, ამ ეტლით ახლავ ორივე დაძმა უნდა გამოეცხადანო.

თ. დ. მაჭუტაძემ სულთანის გამოგზავნილი საჩუქრები ჩამოართვა და გულში სიამოვნებით გაიღილა, ეგონა ახლა კი ჩემი ფაქრები და მოაზრებანი ახლოს არიან სინამდვილესთანაო, მაგრამ მთავრის ასულის ეკატერინეს ნასათის და სარწმუნოების სიმტკიცე მიიღო სულ წინააღმდეგს ეუბნებოდა. მცირე წლოვანი დაეთით განცდიერებული იყო ამ გვარის შემთხვევით, მაგრამ ეკატერინესათვის ჯერ არავის გაუშხლოია, რადგან ამ დროს ლოკვათ იდგა და გულმხურვალად ევედრებოდა ღვთისმშობელს, რომლის ხატიც მუდამ თან ჰქონდა, გურიიდან გამოსეღის დდიდან. ეს ხატე დედის ნაანდერძევი იყო და მამისგან კი ძელი ჰქმარატიტს ნაწილები ჰქონდა. ეს ორი რელიგიური განძი იყო მის ყოველგვარ სიმდიდრე-

ზედ უძირფასესი და მწუხარების დროს მხოლოდ მათ წინაშე მუხლ-მოადრეკით, თვალზე აპყრობილ ლოკით და მხურვალე სარწმუნოებით სტკებოდა და ნუგეშობდა. აი, ეს უკანასკნელი სიტყვებიც წარმო-სთქვა ხატის წინ დარჩეული ეკატერინე: „ყოვლად წმინდა კალწული მარიაჲ, ნუ დაღუპავ ჩემს სულს..“ და იქვე გვერდში ძღვამ ძმის დაეთისავან ვაიგო, რომ სულთანს ეტლი გამოუგზავნია მათთვის და დაუყოვნებლივ უნდა წაეიდნენ.

ეს ამბავი მეხვით მოხვდა ნორჩს ეკატერინეს და ათრთოლებულის ხმით უთხრა თავის პატარა ძმას დაეთს:—ახლა კი დაეიღუპეთ, ძმარა? კელაე კი აღარ მაქვს იმედო? სთქვა და მიეცა შწირე ფიქრებს: „რა გქნა, როგორ უნდა მოვიტყუ, რომ სულთანის ყურადღება არ დაეიმსახურო, მას არ მოვეწონა?“ და დიდ ხანს იყო ამ გვარ ფიქრებში. ბოლოს ადგა ტანისამოსი მოითხოვა, პირისახე რაღაც საძაგელ საღებავებით შეითხუნა, ტანისამოსიც ბინძურად და აუწულ-დაუწულად მიიცი-მოიცივა და ამ გვარად ეს შეენიერი ქალი სრულებით დახაზინჯუბული ჩაუჯდა ეტლში ძმას და გაუდგა გზას სულთანთან.

სასახლის კარებში სულთანის სასახლის ევზირი დახვდათ; ორივე და-ძმა მიიღო და შეიყვანა სასახლეში. წინ პატარა დაეთი მიდიდა და უკან დიდი კრძალვით თაეძირს ჩაკინძული მისი და ეკატერინა მიყვებოდა. პატარა დაეთი სულთანის სასახლის სიბღიდრით და მოწუბილებით ისე იყო გართული, რომ სანამ კაბინეტი სულთანის წინ არ წადგა, არ იცოდა, სად იყო, ან რა სანახავებს უყურებდა.

—რა ყმაწვილი ყოფილა! დაადგა ბეჭუდ ხელი სულთანმა დაეთს და ღიმღით ჩაილაპარაკა.

—ნუ გეშინია პატარა გუჩრიგო, რაღა ჩემამდის მოგიდევია, აწი ნულარაის ფიქრი ნუ გაქვს! წაულაპარაკა კიდევ სულთანმა.

—სხვა, ხომ მშვიდობით იმგზავრეთ, ალბათ ძრიელ დაღლილნი იქნებით? შენი და ხომ არ გრძობს დაღლილობას? ჰკითხა ეს დაეთს და ცალა თვალი გადაავლო იქვე უკან ძღვამ ეკატერინეს, მაგრამ როგორც ეტყობოდა, უსიამოვნებით აღიესო და იმ წამსვე თვალი მოაჩიდა. შემდგე მუსაიფი დიდ ხანს არ გაუვრძელა. სულთანმა ხელი მისცა დაეთის საკოცნელად, გამოშვებობების ნიშნად, აჩუქა რამდენიმე ოქრო თაეის ხელით და უბრძანა სერასკორ ხოსრო ფაშას, რომ მათთვის ცალკე ბინა და პატეისცემა მიეცათ.

მთავრის შეილის ეკატერინეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ის თვითონ არ ერწმუნებოდა თა-

ვის ამ გვარ მოხერხებას და სრულებით დამყიდულ ბუღი დაბრუნდა ბინაზედ მოლოდინე ხეთათს ვადარჩენილი.

რამდენად გახარებული იყო ეკატერინე, იმდენათ მწუხარების დღენი მოელოდა ტრაპიზონელ ოსმან-ფაშას ამ გვარის სულთანის მოტყუებისთვის, მაგრამ დასარწმუნებლად ამ შემთხვევისა სულთანმა დანიშნა კიდევ სხვა დრა.

ამ მიზნით მთავრის ასული ეკატერინა მიაბარეს იმ დღესვე პირველი კარის კაცის ხოსრო-ფაშას მეუღლეს, რომელმაც დაარწმუნა სულთანნი, რომ ეკატერინე საშინელი ლამაზია. ამ დღიდან ფაშას მეუღლე შეუზნდა, თუ რჩევით, თუ ძვირფასის საჩუქრებით და მომავალის ავლადიდებით, რომ რამეფრად მთავრის შეილი ეკატერინე დეთანხმებოდა მამადის სარწმუნოების მიღებაზედ და სულთანის პირველ მეუღლეთ წოდების ნებაზედ, მაგრამ არაფერს სიმდღერეს და არც სასტუკ სასჯელს ეკატერინეს სარწმუნოების შერყევა არ შეეძლო. ამ გვარ რჩევის დროს ეკატერინე ჩამოიღებდა ღეთის მშობლის ხატს და მხურვალე ლოკით, ტირილით ათენებდა მიველ ღამეებს.

ამ დღიდან იგი გადაყვანილ იქნა ცალკე სასახლეში, სადაც არავის მასთან შესვლა არ შეეძლო გარდა მიჩენილი ქალისა პატარა დაეთით და მისი მზღებლები დააშორეს და სულ სხვა დასხვა საზღებში დაბინავეს, ასე რომ ორ კვირამი ერთხელ ვერ ტუბილობდნენ, როგორც თაეის, ისე ეკატერინეს ამბებს. ამ ნაირად ძმასა და დას-შუა ყოველი ნათესაური კავშირი შესწყდა. დაე ვერ ტუბილობდა ძმის და თაეის მზღებლების ამბავს და ძმა დისას.

ერთ დღეს, როდესაც დიდი შეწუხებული ეყარენ, დაეთთან მოვიდა ვიღაც და ძელი კეშმარიტის ნაწილებიანი ხატი მოუტანა, რომელიც მუდამ ეკატერინეს ესვენა უბეში და არ იშორებდა, თან უთხრა:

—შენმა დამ გამოგვგზავნა, მე აღარ მეჭირებდა ეს ხატი, შენ გქონდესო. ამ სიტყვებმა ყოველნი განციფრებაში მოიყვანა და დიდი შეწუხებით ცკითხებოდნენ ერთმანეთს:

—ნუთუ ეკატერინემ სარწმუნოება გამოიცივალა!

სხვანი კი არ რწმუნდებოდნენ ამაში, რადგან ეკატერინეს იმდენად მტკიცედ და შეურყეველად სთვლიდნენ თავის სარწმუნოებაში, რომ ის უწინ სიკვდილს არჩედა, ვიდრე ქრისტიანობას ჰგმობდა. ამ გვარ ფიქრებში იყენ რამდენიმე დღე და ვერ შეიტყუეს ნამდვილი მიზნე ამ ხატის დაბრუნებისა, მაგრამ

რამდენსამე დღეს შემდეგ, მათდა სასიხარულოდ, მოვიდა კაცო სასახლიდან და ხატი ისევ უკანვე მოითხოვეს. თუმც ესეც კმარადა მათ გასაგრილებლად, მაგრამ აქედან მაინც ეცრაფერი გაიგეს. არა იცოდნენ რა ეკატერინეზედ ეს ორი კვირა და ეფრსაღვანაც ვერ შეიტყეს. რამდენიმე კვირამ გაიარა ასეთ ტანჯვაში.

ერთ დღეს სულთანის ვილაც მოხვლევ მოადგა გურულების ბინას და ხმა მალა იკითხა

— თქვენში იყავ დოლიძე არის ვინმე?

— არის, როგ. რ არა? მიუყეს გურულებმა და იესე დოლიძე წინ წამოაყენეს.

— დოლიძე, შენ მხოლოდ, შეგიძლია იარო მთავრის ასულ ეკატერინისთან და ნებაც გეძლევთ თქვენგებური საჭმელი და ლეინოც უზილო! უთხრა მას, მოვიდა ხელი დოლიძეს და საიღუმლო კობიდან შეიყენა მთავრის ასულ ეკატერინისთან.

იესე დოლიძე იყო ერთი უფროთვლესი და უსაყვარლესი მონა და მოსამსახურე ეკატერინესი და ამ გვარმა მოულოდნელმა სიხარულმა ისე აღიტაცა იესე, რომ არ იცოდა დედამიწაზედ დადიოდა, თუ ცაში ფრინავდა. დოლიძე შეიყენეს ეკატერინეს ოთახში. დოლიძე დიდ ხანს იღვა და ელოდებოდა ბატონიშვილის გამოსვლას და ბედნიერ წაჰს. დიდ ხანს არ გაუვლია ოთახიდან ერთი ვილაც ლანდის მგზავსი არსება გამოვიდა და რაღაც ქართულად წაიბუტბუტა. ძრიელ თუ დაუკვირდებოდი, გაიგონებდი: „შენ დოლიძე ხარ? დოლიძე, დოლიძე!“

— დიად მე დოლიძე ვარ? მიუგო იასემ, მაგრამ სად ბრძანდება ჩემი ბატონიშვილი, რომელ ოთახშია? ჰკითხა დოლიძემ.

— ჩემო იესე, ჩემო ერთგული დოლიძე! ხომ მხედავ, ევლარც კი მიჯანი! შენი ბატონიშვილი თვალწინ გიდგია, ნუ თუ ვერ ამჩნევ? უთხრა ეკატერინემ და დასუსტებული ხმით მორთო კეთილნი. დოლიძე იმ წაჰს პირქვე დაეარდა და ტირილითვე მიეხალმა.

დოლიძის სიტყვით ბატონიშვილი ეკატერინე საშინელი შესახედავი იყო. იგი იყო მარტო ძვალი და კანი, ხმით ვიჯანიო, თორემ სხვაფერ სრულებით არაფრით არ ჰკავდა იმ სიცოცხლით საცხე ეკატერინეს, რომელსაც ამ რამდენისამე თვის წინედ ეუყურებდით და ესტებოდითო.

— დოლიძე, არ გეცოდები, რომ მთელი ორი კვირა, რაც ჩემს პირში ნერწყვის მეტი არა ჩასულა-რა? ეკებ, ჩემი ქვეყნის რამე საქმელი მომიტანო. მიუბრუნდა დოლიძეს და ჰკითხა.

— კი, ბატონო, კი შენი ჭირიმე საქმელიც მოგართეთ და ლეინოც. მიირთეთ, მოახსენა დოლიძემ

და თან ეკატერინეს წინ გაშლილ სუფრახზედ დაეყუო გურული საჭმელები და თან ლეინოც. ჰამის დროს დოლიძე თავზედ ადგა და ეკატერინე კი ემუსიფებოდა: დოლიძე! რა ძვირფასი თვალ-მარგალიტებით და ოქროთი არ გამოჯერეს, რანაირი სიმდიდრით და დაპირებით არ მონიბოეს ჩემი თვალები, მაგრამ მერწმუნე მე იგივე გურული ქალივე, იგივე მზურვალე სარწმუნოების მქონე დაერჩი ჯერ-ჯერობით, როგორიც ვიყავი და თქვენც მიწონობდით. მხოლოდ ეს მაწუხებს ჩემი იმედი, ჩემი გულის ხატო ამძერეს გულიდან და მომპარეს. ოჰ! შენ რომ იცოდე, ორი დღე რა ტანჯვაში ვავატარე, როდესაც შევითყე მისი დაკარგვა?! რამდენსამე დღეს შემდეგ არ ვიცი, ვინ, ან საიდან, ისევ დამიბრუნეს და აქვე ვნახე. ჩემს აღტაცებას ხომ სახლეარია აღარ ჰქონდა!

ამ დროს დოლიძე გაშემებული იღვა და ფიქრობდა: — ვინ მოიტანა ეს ხატი ჩვენთან და რა სურდათ ამ გვირგვინით, მაგრამ ამ ფიქრებს თვითონვე ხმავდა თავის გულში და ბატონიშვილს კი არაფერს არ ეუბნებოდა.

ბატონიშვილმა შეამჩნია, რომ დოლიძე რაღაც ძრიელ დადარდიანდა, ჩაფიქრდა და რომ გაეფანტა მისი დარღები, ჰკითხა:

— იესე! ჩემო მეგობარო! რას ფიქრობ? იმას ხომ არ ფიქრობ, რომ მე ასე გავლამაზდი აქ, გავსუქდი? აჰ! ორი კვირის უჭმელ-უსმელობა, ჩემო მეგობარო, ვის არ გახდის ასე. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მე მინდა იესე, ჩემი შთაბეჭდილება და გარემოება ავიწერო, თუ მოვახერხებ.

ოჰ, ღმერთო ჩემო! ჯერ მარტო სახელოს ხსენება სულთანისა სისხლს მიშრობს, გრანობას მიხუთავს. რა საშინელება რამ არის თქვენნი ჭირიმეთ. მას ყველაფერი ძალათ სურს; ყველაფერი თვითმპყრობლის თვლით უნდა დაიმონაოს, მაგრამ საბოლოომ არ იცის, რომ მე იგი ვერ დამიმონავეს, რადგან ჩემი მპყრობელი მალალი ღმერთი, უფრო ძლიერი და ძლევამოსილია მასზედ, არა, იესე? რა მიხარია, რომ შენი ნახვის ღირსი ვამხადეს? ან კი რას მერჩიან ეს უღეთობები? ოჰ, ღმერთო მამატივე, თუ რამ შეგეცოდემ! იყოს შენი ნება, ვიტანჯო აქ, ოლონდ ნუ მიმოიყვან განსაძლელს, არამედ მისხენ ყოველ ბოროტებისაგან.

ამ სიტყვების დროს იესე დოლიძემ ევლარ შეი-მარტა თავი და ცხარის ცრემლებით მორთო კეთილნი.

თოფ. ხუსკიაძე.

(შემდეგი იქნება)

ბაგრატ III იმერეთისა, თუ ბაგრატ V დიდი

გელათის ეკლესიის ღვთის-მშობლის ხატზე დახატული

მწლის „კვალის“ № 1 გამოვიდა ჩემი მონოგრაფია ბაგრატ V დიდზე, თემურ-ლენგს რომ გულგამებებით ებრძოდა. იმ მონოგრაფიაში მე ვიხებლმძღვენელ შესანიშნავი სახის გამომეტყველებით ბაგრატ მეფის ნახატისა, რომელიც არის მუხღმოყრილი გელათის ეკლესიისა ღვთის-მშობლის ხატზე დახატული. ეს მუხღმოყრილი მეფის სახე „კვალში“ ავაყენებინე მხატვარს და ისე გადავალეებინე. ამ შესანიშნავ ხატზედ ცოცხლად გამოყვანილი სახე მეფისა მიმჩნია ბაგრატის V დიდის სახედ და მისდა შესაფერად ავეყრე საოცარი შინაგანი სულის თვისება ამ საერო გმირისა. ბანი თ. ჟორდანიას „ივერიის“ № 14 გამოგეჰამათა შემდეგი სიტყვებით: „კვალმა,“ ამ დღეებში იმერთა მეფის ბაგრატ III (1510—1554 წ.) (?) სურათი ბაგრატ V-ის სურათად მიიღო და ბაგრატ V-ის სულის ძლიერება ბაგრატ III-ის სურათზედ აღმოიკითხა...“

რაკი ბანი თ. ჟორდანიას ასე გადაჭრით ამტკიცებდა, რომ გელათის ეკლესიისა ღვთის მშობლის ხატზედ გამოხატული მეფის სახე ბაგრატ III-ისა არის, რომელიც მეფობდა იმერეთში მეთუთხმეტე საუკუნეში და არა ბაგრატ V-ის დიდისა, რომლის მეფობა, როგორც ვიცით, ვახუშტის ქრონოლოგიით მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყის იყო (1360 - 1395წ.) და იმათ შორის ას ორმოცდა ათის წლის ხანა ძეგს, მე, როგორც ქართული ისტორიის მეციებლობის მოყვარეს, სხვა რა მექნა, უნდა დავკითხებოდი ბატ. ჟორდანიას, თუ რომელი უტყუარი საბუთის ძალით ამტკიცებდა იგი, რომ გელათის ეკლესიისა ღვთის მშობელზედ გამოყვანილი სახე მეფისა უსათუოდ ბაგრატ III იმერეთისა არის და არა ბაგრატ V.



ბაგრატ III იმერეთისა, გადმოდებული გელათის ეკლესიის მხატვრობიდან.

როგორც იცის მკითხველმა, ამ კითხვებზედ არაერთი პასუხი არ გვიღირსა ბატ თ. ჟორდანიამ და ამითი დავაჯერა მან, რომ იმას მართლაც არაერთი თანამედროვე წერილობითი საბუთი არ ჰქონია. ჩვენც აღარ გამოგვეცოდით და აღარ გამოვქვეყნეთ მიხსი უტეგობა, როგორც ისტორიის მკვლევარისა. გავრუბდით, რადგან უმისოდაც ცხადი იყო, რომ ბანი ჟორდანიას თვითონაც არ სცოდნოდა ის საგანი, რომელზედაც ასე თამამად სჯიდა. მხოლოდ ეს არის საკითხები, რათ იწება ასეთმა დარბაისელმა, „ივერიის“ სიტყვით, ისტორიის მკვლევარმა გ. წერეთლის წინააღმდეგ ყოველად უსაბუთოდ გამოლაშქრება? ცხადია, რისთვისაც... იმისთვის რომ ი. ლიანხისპირელისთანა პუბლიცისტებისათვის მიეცა საბუთი ჩემ გასაკლავად, და, როგორც მოგხსენებთ, ასეთი

პუბლიცისტები ცალიერტარიელს დასტამბულს სიტყვებს ზომ უტყუარ საბუთად მიითვლიან ხოლმე. მაგრამ ლათინური ანდაზა: *quod licet jovi, non licet bovis*. მართლაც, რა კერო-მოზერის შესაფერია ის თუყვანისცემა, რაც რომ იუპიტერ-ღმერთისთვის დაუდგენიათ. რა ბავშვისი საქმეა დიდების წაბაძევა?... მეც ასეთ პირთა შესამეცნებლად, სიტყვა „ნახატებიანისა“ არ იყოს, უნდა მოვეყენ ისტორიულ საინაბანო კვშიარიტების ახსნას და დამტკიცებას. იყო დრო, როცა ზებირ-ვადმოცემები, მატთანდ ჩაწერილები, ისტორიის უტყუარ საბუთად მიანდათ ღვისაც დაუარდებოდა სახელი ასეთის ისტორიკოსისა, რაც უნდა აზრი წარმოეთქვა მას, ყველას მი-



ვედრებისა ღვთისმშობელი და ბაგრატ მეფე.

სი სიტყვა ისტორიულ უტყუარ ჭეშმარიტებად მი-
ჩნდა.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნემ განდევნა ისეთი
თვალაზმული რწმენა და ისტორიაშიაც ისეთი სამე-
ცნიერო კვლევის იარაღი შემოიტანა, როგორც ბუ-
ნების მეცნიერებაშია. დღეს რომლისამე ერის მო-
თხრობის ისტორიას არ ერწმუნებია, თუ რომ
მის დასამტკიცებლად არ აღმოაჩინეს ისეთი წერილო-
ბითი საბუთი, რაჟელიც ან თანამედროვე პირისაგან
არის დაწერილი, ან თუ იმ დროის სასაფუაოები არ
გათხარეს და საფუავეში ჩატანებულმა ავეჯეულობამ,
იარაღმა, შინაურმა სახმარებელმა ჭურჭელმა, ან
ფულმა არ დააბტკიცა იმ დროის ვითარება და ისტო-
რიული გარემოება. აგრეთვე თუ ხელნაწერი რაიმე
დარჩენილა იმ დროისა, იგი უნდა შეეფერებოდეს ნამე-
დილოდ იმ დროის ხელს და არა სხვა ხანას ისტო-
რიისას. ბოლოს ეროვნულ პოეტშიაიაც უნდა
იყოს რაიმე კვალი დარჩენილი იმ დროის ვითარები-
სა. ამას გარდა ლამაზი ხელოვნება: მხატვრობა, ჩუ-
ურთმა, ქანდაკობა, ხელსაქმის რაიმე ნაწარმოები,
შინაური ოჯახობის ნიმუში, ხუროთ-მოძღვრების
რაიმე ნაშთი უნდა აღმოჩნდეს.

ასე გასაჩვევ სიტყვიერებაშიაც თუ რაიმე ძვე-
ლი ენის კვალია დარჩენილი, ისიც ერთ უტყუარ
საბუთთაგანად ჰხდება. ყველა ამებეს იკვლევს
ისტორიული შეცნირება და აკროვეს მასალას, როც
შეკრიბოს ცხადი ზეღმესახებელა და საგრაზობელი
საბუთები წარსული ცხოვრების მოთხრობილი მატია-
ნეს გასაჩხრობებლად.

იქ, სადაც თანამედროული წერილობითი სა-
ბუთი, რომელსაც მეცნიერები პალეოგრაფიულ სა-
ბუთად აღიარებენ, არა არის რა, იქ ხელმძღვანელო-
ბენ ან მხატვრობით, ან ჩუქურთმა - ქანდაკ-ხუროთ
მოძღვრების ნაშთით და ამ საბუთზედ ამყარებენ
თაღის გამოკვლევას. ამ უკენასკენის ეძახიან საზო-
გადოთ ხელოვნებას. ამის გამო ისტორიულ მეცნიე-
რებისათვის დიდი მნიშეელობა აქვს თანამედროვე

ხელოვნების შესწავლას. ყოველს ისტორიულს ხანას
კაცობრიობისას თაღის შესაფერი ხელოვნება ჰქონია
და ვისაც ეს ხელოვნება ზედ მიწენით ისტორიულად
შესუსწავლია, ის ამ ხელოვნების კვალით მიხედება,
რა დროს და რომელს ერს ეკუთვნის ეს ხელოვნება.
საცა თანამედროვე წერილობითი საბუთი არ არის, იქ
ხელოვნების ნაშთს დიდი მნიშეელობა აქვს ისტო-
რიულის ხანასი, ანუ ეპოქის მისაკვლეველ და ამ ხა-
ნაში მცხოვრებთა ისტორიულ გეამთა გამოსაცნო-
ბათ.

მეც სწორედ მხატვრობითი საბუთით ეიხელ-
მძღვანელებე ედრებისა ღეთის მშობლის ხატზე გამო-
ყვანილის მეფის სურათის გამოსაცნობად, რადგან
არავითარი თანამედროული წერილობითი საბუთი
დღემდის არ აღმოჩენილა ამ მხატვრობის შესახებ.

მე აქ წარმოვადგენ ორს მხატვრობას: ერთს
გელათის კელიდამ ვადმოღებულს ნახატს, სადაც-
ბაგრატ III-ის იმერეთის მეფის სახეა გამოხატული
და მეორე ედრებისა ღეთის - მშობლის ხატის კო-
პიოს.

თუ დავაკვირდებით ამ ორის მეფის სახეს, მათ
ტანცემულობას, მათი სახის გამომეტყველებას, მათ
გვირგვინებს, ბოლოს აეთი მხატვრობის ხასიათს,
საკანში საეცილოლად განუეითარებელი მკითხველიც
დარწმუნდება, რომ ეს ორი სახე ერთი და იმავე
დროის ნაწარმოები არ არის. იმათ-შორის დიდი ხა-
ნა უნდა იყვეს გასული მხატვრობითი ხელოვნების
დაცემისა, ანუ წარმატებისა.

ედრებისა ღეთის-მშობლის ხატზედ არის შემე-
დვეი ზედ-წარწერა: ყოველად: წმიდაო: ღეთის მშო-
ბელო: შენ: მეობ: მექმენ: პატრონსა: მევეთ მეფე-
სა: ბაგრატს: ყოველთა: კაცთაგან: ფრიად: უკო-
დელისა: აქა: და: მას: საუკუნესსა: წინაშე: ძისა:
შენისა:

ახლა შეუდგეთ იმის გამოცნობას, რომელი ბაგ-
რატი უნდა იყოს ეს?

გ. წერეთელი
(შემდგეი იქნება)

ქრისტეფორე კოლუმბი



ქტომბრის 12 1892 წ. შესრულდა სწორედ
400 წელიწადი მას შემდეგ, რაც ისპანიელმა
კამოჩენილმა მოგზაურმა ქრისტეფორე კო-
ლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა. თითქმის მთელი კაცო-
ბრიობის განათლებულმა ნაწილმა დიდის ამბით იდ-
ბესასწაულა ამერიკის აღმოჩენის 400 წლის იუბი-

ლეი. ეს ასეც უნდა ყოვილიყო. ამერიკის აღმოჩე-
ნამ მეტად დიდი გავლენა იქონია ევროპის ხალხების
ცხოვრებაზედ; მან ისე ძირულად შესცვალა ზოგი-
ერთი სახემწიუოს წეს-წყობილებმა! ამერიკამ შედა-
რებით მოკლე ხანაში ისეთი თვალსაჩინო ადგილი
დაიჭირა ქვეყნის მოძრაობაში, რომ განათლებულს
კაცობრიობას არ შეეძლო შეუმჩნეველად გაეტარებინ-
ა ეს დღე. მართლაც და არ დარჩა არც ერთი სა-

ხელშეწყობა, არც ერთი ქალაქი, რომ რითიმე პატი-
ვი არ ეცათ ამერიკის აღმომჩენელის სახელისათვის.
მწერლობამ და ჟურნალ-გაზეთობამ ხომ დაწერილ-
ებით აკვიწერეს და მოგვეგონეს ამერიკის აღმოჩენის
ისტორია; თვით აღმ-მჩენელის, კოლუმბის ვინაო-
ბა, იმ კოლუმბისა, რომელმაც ევროა წრეში შე-
მოხლულულს ევროპას გზა გაუხსნა დასავლეთისკენ;
კაცობრიობას არუქა მესხეთე ნაწილი ქვეყნიერობისა
და მით აღმჩინას გაუფართოვა გონებით წრე-ზღუ-
დე. ბუნებით მდიდარმა ამერიკამ დიდძალს ხალხს
მისცა ცხოვრების საშუალების გზაც. აუარებელნი
ევროპიელნი, რომელთაც თავის სამშობლოში სუ-
ლის მოსაბრუნებელი ადგილი აღარა ჰქონდათ, გა-
დასახლდნენ ამ ახლად აღმოჩენილს ქვეყანაში და
ისე მოაწყეს თავისი ცხოვრება, როგორცა სურდათ,
დაწესეს თავისუფალი სახელმწიფოები, დააშენეს
ქალაქები, გამართეს აღზე-მიცეობა; ააღორძინეს
ათასწარი მრევლულობა—და, აი, დღეს ჩვენა ეხე-
დავთ, რომ ეს ახალი ქვეყანა, ეს ნორჩი ხალხი
არამც თუ თითონ ცხოვრებს ბედნიერად, არამედ,
მთელს ევროპასაც ასაზრდოვებს.


ამერიკა ყოველ წლიე თითქმის 200 მილიო-
ნის მანათის ოქროსა და ვერცხლს იღებს თავის
წიდავიდან და მით აადვილებს სიმდიდრის როგორც
შენახვა-დაზოგვას, აგრეთვე განაწილება-გადაცემას.
ამერიკის ნაწარმოებმა თამბაქომ, ყავამ, შაქარმა,
პურმა, კარტოფილმა, ბამბამ იმოდენა სიმდიდრე მი-
ანიჭა ევროპას, რომ თვალ-საჩინოდ იმოქმედა ხალ-
ხის გამოაივლებათზედ. უკარტოფილოდ ევროპა ვერ
გამოკვებებდა თავის ხალხს; ამერიკის პური რომ
არ ეტმარებოდეს, ევროპაში შიმშილობა გახშირდე-
ბოდა, შაქარმა, ყავამ, კაკომ გაგვირაციერეს საქ-
მელ-სასმელი; ქინა-ქინამ დაგვისხნა ციებისაგან; თა-
მბაქომ სიამოვნებას გარდა, სახელმწიფოებს შესძინა
მილიონები. აი, ეს დიდი მნიშვნელობა ამერიკის
აღმოჩენისა იყო მიზეზი იმ საერთო დღესასწაული-
სა, რომელზედაც ზნეოდ მოვახსენეთ. ამიტომაც,
ვერანებ მეტი არ იყოს, თუმცა ცოტა დავეიანებულე
კა, რომ „კვილის“ მკითხველმასაც ფუჰამოთ რამე
ამ შესანიშნავი შემთხვევის გამო.

გონებითი მოძრაობა, შემოტანილი ევროპაში
არაბებისაგან, არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როდ-
ესაც არაბები განდევნილნი იქმნენ ისპანიიდან. ზღვის
პირას მდებარე ქალაქებში ათასნაირი აზმები იყო
გაერთელებული აფრიკაზედ, ინდოეთზედ და სხვა
უცნობ ქვეყნებზედ, სადაც ბუნებას ვითომ უხედა
მოყვინა ოქრო, ვერცხლი და სხვა გვიანნი თვალის

წამტაცნი სიმდიდრენი. ყველაზედ მეტად კი მაშინ-
დელი აღმჩინის თვალს და გონებას იზიდავდა ინ-
დოეთი. მაგრამ ინდოეთი შორს იყო. გზა მიდიდა
ხმელეთით, მცირე აზიაზედ, სპარსეთზედ, სათათრე-
თზედ. ეს გზა იყო ძნელი, გრძელი და ამასთანავე
საშიში, რადგანაც ველური ხალხი მოსვენებას არ
აძლევდა ვაჭრებს და მათ ქარაენებს. ამიტომაც მა-
შინდელი განათლებული ხალხიც, მთავრობაც და
მეტადრე ვაჭრები შურის თვალთ შესტკეპოდნენ
თვალ-წინ გადაქიმულს ოკეანე-ზღვას და თან ფიქ-
რობდნენ, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ ზღვით შეი-
ძლებოდადეს ინდოეთამდის მისვლა; და რადგან დე-
დამიწის სირველე უკვე დამტკიცებული იყო; ამ
გვიანს სურვილს და ნატერას უფრო მტკიცე საფუ-
ძველი ეძლეოდა. კაცმა რომ გასწიოს და სულ და-
საუღეთისკენ იაროს, უთუოთ აღმოსავლეთისკენ
მოვა. აღმჩინას მაშინ, რასაკირველია, ვერც კი
წარმოგვინა, რომ ეს ოკეანე-ზღვა მთლად თავისუ-
ფალი არ არის, რომ მანებ გადაქიმულია დიდი ხმე-
ლეთი, მთელი ნაწილი ქვეყნიერებას—ამერიკა-
ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საშუალო
საუკუნოებში მეცნიერებს სწამდათ, ვითომ აზიის
ნაპირები ევროპაზედ ძალიან დაშორებულნი არ არ-
იანო. „სპანიიდან ინდოეთამდის რამდენიმე დღეს
სავალიაო“, ამბობდა სენეკა. სტრატონიცი ამავე აზ-
რისა იყო, ამ გვიანი მებუღლობა მანძილზე ერთ-
მხრივ სასარტყლოდ გამოვდა, რადგანაც იგი მოგ-
ზაურებს უმატებდა გაბედულობას; თორემ ნამდვი-
ლოდ რომ სცოდნოდათ, რამ სიშორეზედ იმყოფებო-
და მათი მიწიდედელი ქვეყანა, იქნება ვერც ერთ
კაცს ვერ გაებედნა ასეთი შორს მოგზაურობა და
იქნება ამერიკის აღმოჩენა რამდენიმე წლით გვიან
მოხმდარიყო. მაგრამ კაცის გონება დაუტკრობელია.
იგი მუდამ იბრძვის, იგი მუდამ შრომობს, ჰკავებს
გზას და ისე პოულობს ჰემპარიტებას ახლაც ისე
მიზნდა. ერთმა მეცნიერმა ფლავიოს ამაღლიმ 1302
წელს გამოიგონა კომპასი, რომელმაც მეტად ვადა-
ვილა ყოველნაირი მოგზაურობა; მეორე მეცნიერმა
მარტინ ბეგაიმმა დამტკიცა, რომ მოგზაურობის
დროს შეიძლება ვინემდმდენლოთ მზის სიმაღლის
თაო. ერთი სიტყვით ინდოეთის გზის აღმოჩენის
სურვილმა დაძაბდა მრავალი აზრი, მრავალი ბაასი,
მითქმა-მოთქმა, მიწერ-მოწერა. მხოლოდ ყველა ეს
იყო უწესოდ, უსიტემოდ, უთავ-ბოლოდ. საჭირო
იყო კაცი, რომელსაც ყველა ეს მოეყვანა რიგზედ.
ყოველი აზრი გაეტარებინა სამეცნიერო კრიტიკის
თვალში და დემყარებინა ერთი უტყუარი, მტკიცე

და მეცნიერული შესწავლა ამა სავანეზედ. ასეთი კაცი ქვეყნის სასიკეთოდ მალე აღმოჩნდა. იგი იყო ქრისტიანობის კოლუმბი.

ქრიტიკებორც კოლუმბი დაიბადა 1436 წ. ქრისტიანობის პაპა იყო ფიქარი და ღარიბ კაცად არ ითვლებოდა. მამას გრძელდომინიკ და ცხოვრებდა ქალაქ გენუაში. დომინიკს თუმცა ოთხი შვილი ჰყავდა, მაგრამ რაკი უფროსს ქრისტიანობის შესწავლა მტრნიჭიერება არა დაიშურა. რა მისთვის და გავაზა



კოლუმბი აღმოჩენილი ამერიკისი

ნა საუკეთესო უნივერსიტეტი. აქ ქრისტიანობა დავყო თითხმეტ წლამდის და სწავლობდა გრამატიკას, ლათინურს ენას, გეოგრაფიას, ეარსკლავთმრიცხველობას, მეზღვეობას. მაკრამ ყმაწვილის ნორჩს გონებას ყველაზედ ნეტად კი იზიდავდა გეოგრაფია. მართლს კოლუმბი გამოვიდა უნივერსიტეტიდან, შევიდა საზღვაო სამსახურში და სიკვდილამდის არ განშორებია თავის საცხარეს ხელობას. ქრისტიანობის კოლუმბს მიუღია რამდენიმე მონაწილეობა ომში; უმოგზაურია ინგლისში, პორტუგალიაში; მოუვლია აფრიკის კუნძულები, გენების ნაპირები; ასე რომ ორმოცი წლის კოლუმბმა უკვე შემოიარა და დაათვალიერა ყველა ის ადგილები, რაც კი მანამდის აღმოჩენილი და ნახული ყოფილა. ლისაბონში იმან გაიწიო ერთი ღარიბი აზნაურის ქალი ფილიპა, რომელიც მალე კოლადაც შეერთა. რადგან

არც ცოლს ჰქონდა არც ქმარს შეძლება არა ჰქონდათ, იმიტომაც კოლუმბი შეუღლა ლუქა პურისთვის შრომას; ჰმეკვდავდა ნახატებიან წიგნებს, გლობუსებს, გეოგრაფიულ ქარტებს. აი, სწორედ ამ დროს, ამ გაცხარებულს მუშაობაში მას დაეებდა აზრი ინდოეთამდის ახალის გზის აღმოჩენისა ჰქონდა შეიპყრო მისი გონება. მაგრამ ამ აზრის განხორციელებისათვის დიდი ფუ-

ლი იყო საჭირო ჰქონდა შეძლებას ვინ მისცემდა ლუქა პურისთვის მშრომელს კოლუმბს? კოლუმბმა პირველად მიმართა თავის სამშობლოს—გენუის რესპუბლიკას, მაგრამ იქიდან უპასუხეს, რომ ხაზინაში სამაგისო ფულები არა გვაქვსო. შემდეგ კოლუმბმა სცადა ბედი პორტუგალიაში, მაგრამ ეს სახემწიფო იმ დროს ომში იყო გარეული და ამ გვარი საქმეებისათვის არ ეცალა. კოლუმბი არ შედრკა, გაიმავრა გული და ცდა დაუსწო უკეთეს გარემოებას. ამ დროს მოკვდა პორტუგალიის მეფე ალფონსი და ტახტზედ ავიდა იოანე II. კოლუმბმა იფიქრა, თუ მიშველის, სწორედ ეს ახალგაზდა მეფე მიშველისო და მას წარუდგინა თავისი მოგზაურობის პლანები. მეფემ მართლაც მალე ინახულა კოლუმბი, გაიგო მისი აზრები, გაუშინჯა პლანები და დახმარებაც აღუთქვა, მაგრამ, როდესაც დამიდებულნი კოლუმბი წამოვი-

და, მეფემ მოამზადა რამდენიმე ხომალდი და კოლუ-
მბის ჩუმაღ გაისტუმრა ახალის გზის საძებნელად,
რომ თითონ დაემსახურებინა სახელი და დიდება.
უსამართლობა და დღაღობი არაიეს შერჩენია და არც
იმ მეფეს შერჩა. სამინილომა ქარიშხალმა დანჯღრე-
ული ვეშები და შეშინებულნი მებომალდენი ისევე
მეფის წინ მორეკა. ეს რომ კოლუმბმა შეიტყო მე-
ტად ეწყინა. შესწუხდა, გული დაეწეა, იფაქრა: თუ
გვირგვინისანი მეფე ამასა კადრულობს, უბრალო
მომაკედებს რაღა მოეთხოვო და 1484 წ., როცა
კიდევ დაქერიდა, ვანზორდა პორტუგალიას დათა-
ნეე წაიყვანა თავისი ერთად ერთი პატარა ეფი დი-
ევო. საწყალმა დიდებულმა კაცმა საშინელი ტანჯვა-

მწუხარება გამოიარა ამ ფეხით სიარულის დროს;
მაგრამ დიდებული კაცი ყოველ შემთხვევაში დიდ-
ბულად რჩება. მას ევრც დიდებულება დასცემს ისე,
რომ წამოდგამა აღარ შეეძლოს და არც ბედნიე-
რება დაუხშობს მას ქეშმარიტებისადმი ლტოლვი
ლებას. დაგლეჯილი, დაფუთილის ტანისამოსით,
სიმშლისაგან შეწუხებული, ზურგზედ ბავშვმოკიდე-
ბული კოლუმბი უკაცუნებს ერთი მონასტრის კარებს
და ლტკმა პურსა სთხოვს დამშეთლის ყმაწვილისათვის.
კოლუმბი, რასაკვირველია მიიწვიეს მონასტერში და
აღერსიანად გაუმასპინძლდენ, როცაორც მამას, აგრე-
თვე მის პატარა შვილს.

რ. ჯაჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).



* * *

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ტვალში ნუ გედეე უბედობაე,
მომასეენე, დამაწყნარე;
ერთი წამი მომეც ლინი,
თუნდ სიცოცხლე ინაცეღე.

თორემ ჰ ელდე, ვითა მკედარი,
მიეფიწყდი მთელს ქვეყანას.
აღარაიენ არ ივანებს
ბედით დასჯილს ჩემისთანას.

ღმერთო, ღმერთო, ეს დროები
მიღლეებენ მწარედ გულსა,
მაგონებენ იმ დროს წარსულს,
საუტუნოთ დაკარგულსა.

ნუ თუ ხანმა იმოქმედა
და დრომ დაჰკრა იგი ყამი,
რომ დანარჩენს სიცოცხლესა
გარდაესხას ნაღველ-შხამი.

განა მარტო ჩემზედ ეფიქრობ
და მით ჰყენეს ჩემი გული.
არა, მტანჯავს ის სურათი,
მომემ რომ მყავს ანაბრული,

ერთ მიწის შვილთ, ერთ დედის შვილთ
ენებდაე ერთი მერორეს მტრობს;
საფლავს უთხრის, ემუქრება
მის სიყვარულს, მის ძმობას ჰგმობს.

ქნ. ნ. ორბელიანისა.

აღნიაშვილი, „ახალი ანბანი“: წიგნი VI პაწაწა
მინერალოგია, წიგნი VII პაწაწა ბოტანიკა, წიგნი VIII
პაწაწა ზოოლოგია.

II

ორდესაც ამ წიგნების შესახებ პირველი წერი-
ლი დაწერიეთ, ჩვენ ჯერ არ გეჭონდა წაკი-
თებული ბ. აღნიაშვილის ბროზურა: „პასუხად
ჩვენს უღმობელ კრიტიკოსს, ბ. პატას და ორი კი
თხვა „იფერიის“ რედაქციისადმი.“

ამ „პასუხში“, აი, რა სიტყვები ამოვიკითხეთ:
„აღნიაშვილი აღუთქვამს ქართველ ყმაწვილებს ერთ
წიგნს, რომელიც შეიცავს ყოველივე გვარ პირველ-
დაწყებით ცოდნას, ანუ პირველ-დაწყებით ცნობებს
ყოველგვარ მენიერებისას და სახელად ეწოდება ამ
წიგნს „ახალი ანბანი“...“

„ახალი ანბანი“, დეარაქვით არა იმისთვის, რომ
ახალი რამ მეთოდით ვასწავლიდეთ წერა-კითხვასა
(ანბანსა), არამედ იმისთვის, რომ ჩვენ გვიდნა შევა-
სწავლოდ „ახალი ანბანი“, ე. ი. ანბანა ცოდნისა,
ანბანა მეცნაურებასა...“

... ეს „ახალი ანბანი“ გამოვიდა არა მთლი-
ანად ერთად (ტყუილად რო დავებირდეთ, ეს ჩვენ
არ ძალგვიძს), არამედ ნაწილ-ნაწილ და ყოველი ნა-
წილი ამ ანბანისა ცალკე იქნება თავის-თავად სრუ-
ლად დამთავრებული წიგნი (კარი).

... აი, როგორ უნდა შეეხედნა ამ საგნისთვის
ბ. პატასაო? იცეროდ 26, 27 და 28.

ჩვენც მზათა ვართ ბ. აღნიაშვილის თვლით
შეეხედოთ მის შრომას, მაგრამ არ შეიძლება, ისიც

არ ესთქვათ, რომ თუ ბ. აღნიაშვილი ასე ზერა-
ქვერად უყურებს თავის შრომის საგანს და არც
რამ დიდ დანიშნულებას აძლევს ამ „მეცნიერების
ანბანს“, მაშ რა საჭირო იყო, რა თავის ქმნილებას
ასე პრაქტულ-პრაქციული სახელები დაანათლა; „ზოო-
ლოგია“, „ბოტანიკა“, „მინერალოგია“? ამაზედ
შეიძლება გვიპასუხოთ: აკი ზედ დაეატანე სიტყვა
„პაწაწა“-ო, მარა „მინერალოგია“ მინერალოგიათე
რჩება, გინდ პაწაწა უწოდდე, გინდ უშველებელი და
მაგით არც ბუნების კანონები „დაპაწაწედება...—
თუ იტყვი ისე შეხედეთ, როგორც „მეცნიერების
ანბანსაო“, მაშინ ხომ ყველასთვის ცხადია, რომ
„ანბანი“ ყოველთვის, ყოველგან და ყოველივევრის
საფუძველია. მაშასადამე საფუძველი ყოველად მტკი-
ცი და უნაკლული უნდა იყოს.

ახლა რაც შეეება „პაწაწა ბოტანიკას“, ჩვენ
გესურს ბ. აღნიაშვილის ყურადღება მიექციოთ შე-
ძღვეზე:

1) გადაშლი ყდას და დაგიხედებათ „სამეფო
მცენარეულო“. თუმც ეს დიდ ცოდვად არ ჩაითუ-
ლება აეტაროს, მაგრამ ერთხელე მიღებულა „სა-
მეფო მცენარეო“, მაშასადამე ერთს რასმე უნდა
ვადგეთ.

2) ყველა ერთობილოვან მცენარის, ჯერედ
ნორჩ ძირკეს მოსხმული აქვს დამატებითი გვერდის
ძირკვები (radices adventitiae), ხოლო თვით მთა-
ვარი ძირკვი (ღერძი) (radix primaria) თან-და-თან
ისპობა და ძაფის სისხო ნაზი გვერდის ძირკვები კი
ხარობენ და ასახლოვებენ მცენარეს.— აი ამ გვერდის
ძირკვებს საზოგადოთ ეწოდება **აფიჩგაღა** (radi-
ces fibrosae, ანუ რუსულად мочковатые корни).—
ბ. აღნიაშვილი ამ ნაწ ძაფის სისხო ფიჩგეს (იხილე
ნახატი 7.) ფესვად იხსენიებს: „ერთობილოვანი
მცენარის ძირი შესდგება წვრილ-წვრილ ძაფებსაჲთ
ფესვებიდანაო“—ამოზბს მეცხრე გვერდზედ. ჩვენის
აზრით ეს ტერმინი „ფესვი“ სხეფრიე უნდა გამო-
ვიყნოთ. მაგალითად Rhizoma, корневище რო-
გორ უნდა ეთარგმნოთ აჲ არ ფესვად? მით უუ-
რო არ არის სასურველი ძაფის სისხო ნაზი ძირ-
კვებს ფესვებად იხსენებდეთ, რომ ერთხელეე გო-
ნებას წარმოადგენილი აქვს ფესვი რალად დიდ-საგ-
ნად, მაგალითად მაშინათეე წარმოადგებდათ კაკლის
ფესვები, მუხის ფესვები და სხვა-და-სხვა. ამასთანავე

ქართულ ენაში კიდევ გვაქვს ტერმინი „ძირკვი“,
ჩვენის აზრით უმჯობესია „ძირის“ მაგიერად „ძირ-
კვი“ შევიტანოთ საზოგადო ტერმინოლოგიაში
სიტყვა მარა მეტად საზოგადო სახელია.

3) მეთერთმეტე გვერდზედ აეტარა ამოზბს:
„თუ ბუჩქი ევლებიანია, ძმევიჰქვიანო“. ეს შევლო-
მილი აზრია, რადგან ძმევი საზოგადო სახელი კი
არაა, საკუთარა სახელია ერთნაირ მცენარისა, რომე-
ლიც ეკლიან ბუჩქებად იზრდება და „ფარებს“ მო-
ისხამს ხოლმე. ამ ძმევის ღობეებისთვის ხმარობენ—
ძმევის ღობე ვის არ ვაუგონია! ახლა ყველას ხომ
ძმევის ვერ უწოდებთ, საზოგადო ტერმინათ ხომ ვერ
გადაქმნით; მაყალიც ეკლებიანი ბუჩქია, კუნელიც,
ლიჭიც და სხვა მრავალი ამ გვარი—ამასთანავე აე-
ტაროს აზრით ბუჩქი და ჩირვი ერთი და იგივეა,
ჩვენის აზრით ბუჩქი ხო ბუჩქია, მაგრამ ჩირვი კი
იპას ეწოდება როდესაც ხეს ძირში მოსჭრით და ხის
ტანის მონარჩენი ამ ძირზედ ან ყლორტებს ამოი-
ხეთქს, ან ისე დარჩება!

4) როცა ხეს გადაეხერხათ, ან გადაესჭრით,
დამორილზე დაგიხედება რამდენიმე წრე **საღტესა-**
გათ ირგვავა შემაფლებუღა. ეს რგვალი წრეები
უფრო აშკარად ეტყობა ფიჭვის, ან ნაძვის მორებს.
ამ ირგვლიე შემოვლებულ წრეებს **წაფაგანების ს-**
ღტეგბა (ГОДИЧНЫЕ КОЛЬЦА) ეწოდება. აი, დათეა-
ლეთ ეს წლოვანების საღტეგები და გამოიცნობთ,
რამდენი წლისაქაა თქვენი ხე.

ბ. აღნიაშვილის ამს ასახსნელად მეთორმეტე
გვერდზედ საყვალური სტატია აქვს ამ სათაურით:
„ხის წლოვანება“. სტატისთვის ჩაურთავს ორი ნა-
ხატი რომლებშიაც სურს აეტაროს უფრო ადილათ
ასწავლოს პაუშებს ხის წლოვანების გამოცნობა.
წარმოიდგინეთ, რომ „ნახატი 8 მორი დიდის ხისა“
სარულებით ეწინააღმდეგება ქვეშარიტებას! მის მაგი-
ერად რომ წლოვანება ეტყენებინა, აეტაროს თავის
მორზე ორმოცამდე **გუღას სხეგება** (сердцевинные
лучи) დაუხატავს.—დათეალეთ ეს სხეგები და გამო-
იცნობთ რამდენი წლისაქაა თქვენი ხეო!.. ასეთი
ანბანური შევლომები ცხადათ ამტკიცებს, რომ ბ.
აღნიაშვილს ბუნების მეცნიერების ანბანიც არ ჰქო-
ნია დაბეჯითებით შესწავლული. ფრიადსამწუხაროა
ეს გარემოება, რომ განუფითარებელთა ხელთ არის სამე-
ცნიერო პირველ-დაწყებითი ხელსამძღვანელოების შე-
დგენა ქართულ ენაზედ.

5) მეთერამეტე გვერდზედ აეტორი ამბობს: „ყველა ფოთოლს ზევით-ქვეით ფერფლი აქვს გადაკრული და შიგაც ძარღვები გამბულ-გამობული“. ეს ფერფლი რა უნდა იყოს, აღარ გვემის, ღმერთო დაგვიფარე ასეთი ტერმინოლოლიისაჲან.

მერე პარენხიმის ქსელს რაღათ გუწუყერიო? ამ პარენხიმის ქსელშია მიღლებანი ძარღვები გასულ-გამოსული, აქვე არიან უჯრები ხლოროფილით (მწვანადი) საესე, რომლის მიზეზითაც ფოთლები მწვანე ფერისა არიან. აი, ამ გვარად შემდგარ ქსელს (ფოთლის ყავარს) ზემო-ქვემო მხარეს ებიდერმისი აქვს გადაკრული. — აეტორს ტერმინი ებადრმასა ფერულად უთარგმნია, მაშინ, როდესაც ფერფლი მტვერია. რა უშუადა, რომ ქართულადაც ებიდერმისი დაეჭვიან. არიან იმ გვარი ტერმინები, რომლების თარგმნაც ყოვლად შეუძლებელია. თითქმის ყველა სამეცნიერო ტერმინები ლათინურს და ბერძნულ ენებს ეკუთვნიან და თუ კი ჩვენზედ განათლებული ევროპის ერი არ დაერიდა ამ უცხო ენების ტერმინებს, მაშ ჩვენთვის რაღა სასარცხელია?

6) იმავე გვერდზედ ვკითხულობთ: „ფოთოლს რომ ზურგთან დაჰხვდეს, შემხმევე წერილ-წერილ ნაჭერებებს. ეს არის იმისი ფოსოები“. ჩვენ კი ვიტყვი, რომ ფოსოები კი არა, ეს ნაჭერებები მისი სასუნთქველება არიან.

7) ცალკე სტატიაში „განა მცენარე სკამს?“ ვკითხულობთ: „მცენარე ჰამით კი სკამს, მაგრამ პირი ჩვენებურად არა აქვს მოწყობილი, — პირა ფეხებზედ აბია.“ მერე აეტორი ამბობს: ფსევზზედ მცენარეს ჩინელი აქვს მოსხმული და ესენი მისი ტუჩებია არიანო — ამითი სწუწის ის საზრდოსაო. ჩენის აზრით ამ სტატის სათაური უნდა ამ გვარი ყოფილიყო. „როგორ იკვებება მცენარე?“ და სრულებით საქირა არ იყო არც ფეხები, არც პირი და არც ტუჩები. თუმცა აეტორს ამისთანა მკაფიო სიტყვები უშარია, მაგრამ მცენარის კვების ფიზიოლოგია მაინც ძალიან სუსტად და ყრულ აქვს ახსნილი. ეტყობა თვითონაც კარგათ არ ესმის.

8) ყველილის ასაწერად ბ. აღნიაშვილს ტერმინები ასე უბნარია: чашечка (calyx) — ბუდე, венчикъ (corolla) — ჯიღა, пыльникъ — მტერიანა, пестикъ (pistillum), ანუ плодникъ — ბუტკო. არც ერთი ეს ტერმინი არ ვარგა. აეტორს, როგორც ეტყობა, тычинка-სთვის განმჩახ აუქცევია გვერდი, აღ-

ბათ ევრა მოუხერხებია რა და მარტო იმის თავი მტრეაზა მოჰყავს.

9) ნახატი 43 წარმოადგენს სანჯოფოს (ბუტკოს) სხემას, რომლის ნაწილებიც აეტორს ასე აქვს ნათარგმნი: Рыльца (Stigma) — პირი, Стольбикъ — ყელი, завязь — ნასკვი ანუ მუცელი ბუტკოსი, Сѣмяносецъ — ქსელი თესლისა, сѣмяночка — პარკუტა ნაყრისა, Ядро — ნაყრი ანუ კვერცხი, რომელიც უნდა იქცეს ნასახად, Двѣ покровы сѣмяночки — პირველი ფერფლი და მეორე პირი ფერფლი, შემოკრული ნაყრის გარშემო, Цвѣтъ — მარცვალი მტერიანასი, пыльцевая или цвѣтневая трубочка — მარცვალი ჩაძაბული, — ის კი ვეღარ შევიტყვით, თესლ შესავალი კარი — რას ნიშნავს. — მივღია, აეტორი დაგვეთანხმება, რომ ეს ქართული ტერმინები აღარაფერს არა ჰკავს.

Сѣмянная оболочка — კილი (კანი), Сѣмяныя доли — ბიბილოები, Бѣлокъ — ღებანი, зародышная почка — ნასახი, корешокъ — ფეხი, растенія двусѣмянодолныя — მცენარენი ორბიბილოვანნი, Волоски — ბუსუსები, Стебель травянистый — ზოო (?), Сердцевина გული, ксилема (древесина) — მერქანი (?), камбій — ახსკა, флоема (дубъ) — ქურთენი (?), кора — პარალა (პარალი (?)) უნდა იყოს, верхняя кожа или пробковая ткань — ქერეჭი, Эпидермисъ — ფერფლი, Глазокъ — მსხურპლი, почка — კერტი, Стебле-листовыя почки — სატოტე კერტი, цвѣтovyя почки — საყვავილე კერტი და სხვა-და-სხვა.

რასაკვირველია, სანატრელია, რომ ყველა ეს ტერმინები მომავალში უფრო ხეირიან ტერმინებად შეიცვალოს. აქ საშუალოა ი. რი სავანია: ერთი რომ ჩვენ ქართულ ენაზედ სამეცნიერო წიგნებს ადგენენ ისეთები, რომეღნიც მეცნიერებაში სრულებით განუფითარებლნი არიან და მეორე ისა, რომ ამისთანა კაცებს კიდევ ბევრი რამ ებატებოდათ, იმათ რომ ტელმძღვანელათ, მაინც რაც მანამდის ვაკეთებულა სხვებისაჲან, იმითი და სანამდის ისინი გამოვიდოდენ მოღვაწეობის ასპარეზზედ, მანამდის შესწავლად ქართულ ენაზედ. რაც მათ წინამორბედ თაობას გაუკეთებია: მაგალითად ჩვენ ცოცხით, რომ ამ ოც-დაათისა და ოც-დახუთის წლის წინათ გამოვიდოდენ ქართულ ენაზე პერიოდულნი

გამოცემანი „გუთნის დედა“, „სასოფლო ვაჭეთი“ „ცისკარი“, „დროება“ და სხვ.

ამ გამოცემებში იბეჭდებოდნენ პირველ დაწყებითი ზოოლოგია, ანატომიაც ჰისტოლოგიაც მცენარისა. ამას გარდა მიეღი ფიზიოლოლია არის როანჩეცკისა ჩინებულად ნათარგმნი ქართულ ენაზედ. რა იქნებოდა, რომ ბ. აღნაიშვილს გადაეკითხა ეს თხზულებები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მისი ტერმინები უფრო მოხერხებულნი და უფროც საზოგადო სახმარებელნი გამოვიდოდნენ, მაგრამ არა. ყოველი კაცი იმდენათ გამეტიჩარებულა, რომ როცა გამოდის სალიტერატურო ასპარეზზედ და თითო ოროლო სტრიქონს დასწერს, ასე ჰგონია, რომ პირველად იმას გამოუჩენია ამერიკა და იმაზედ ადრე არც არავის უწერია და არც არავის უყეთებია რამე. ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ მემკვიდრეობითს ცოდნას ქართულ ენაზედ არ მიეყვებით, იმდენათ გველეუტებულნი და გახეპრეებულნი ვართ, რომ ჩვენს მეტს, ან თუ ვისმე უშრობია, ან თუ ვისმე რამე უყეთებია, არა ვგეგონია.

ამ სახით ძველი ეიწყდება, ახალს ვეაწედიან ისეთი ქართულის ენის მკოდნენი, რომელთაც ქართული ენა თავისთავადვე შეუსწავლიათ, თორემ სკოლებში იმათ ამ ენას აღარაივენ ასწავლის. ამის გამო ჩვენი სამეცნიერო ტერმინოლოგიის საქმე სულ უკან მიდის. ბევრნი ბრალს სდებენ და საბუთიცა აქეთ იმ ვარემოებას, რომ წინანდელს ქურნალ-ვაჭეთებში ნაწერებს ვერ ვშობობთ. მართლაც ამ ნაწერების გამოცემაზედ დღემდის არავის უმეტრეგია თავი. დღეს კი დაარსდა გამოცემელი ამხანაგობები. ესენი დიდს ღვაწლს დასდებენ საზოგადოებას, თუ მოჰკიდებენ ხელს წინანდელის ნაწერების გამოცემას, რომელნიც მოაზრებიათ ან კერძო პუბლიკუს ბიბლიოთეკაში, ან კერძო ოჯახებში და წიგნთ-საცავებში. ეს ჩვენი ტერმინოლოგიისთვის დიდი ნაბიჯის წინ-წაღმა იქნება. ვისურვებთ ამ მიზნით ყოველ ნაირს წარმატებას ჩვენი გამოცემელთა ამხანაგობისას.

ბუნების მეტყველების მოყვარე.

რედქტორ-გამომცემელი ან. თ.-წუთუღასას.

განცხალეხანი

სამეცნიერო და სალიტერატურო გამეით

„კ ვ ა ლ ი“

სვლის მოწონებ „კვალსე“ ამ 1893 წელს განიკრძობა წლიურად და დირს 8 მანეთი. ვისაც მუორე ნახეყარი წლის ფული არ მუ-მოუტანია, ვთხოვთ დანქარონ ფულის მუდო-ტანა. სოლო ვისაც ჰსურს ვაჭეთის ახლად დაბარება ნახეყარი წლით დაბეყვის ივლი-ნის თვიდან, უმორჩილესად ვთხოვთ მათ დროით შეევატეობინონ.

ვაჭეთი ნახეყარი წლით დირს ტბე სავ-ნით—4 მანეთი, სხმი თვით—2 მანეთი, ორი თვით—1 მანეთი და 50 კ. ერთი თვით—1 მან. ადრესის გამოცვლა დირს 60 კ

გამოვიდა და ისეილება

ბურბან რაინლი

რახელის

ქუთარის ამხანაგობის გამოცემა

შანი მჰსნი შაჰრი

საბაღო-სნოა წ' აზმაღეპა

„როკვეი“

მისილი სტეფანეს მის ბეთანიშვილისა

ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის და სახლის მოსართავი მეცენარეები. აგრეთვე ისყიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადგან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავაა, ამისამო ბეთანიშვილის ბაღში მოჰყავთ და უღელიან ძირფეს ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის გრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოენებისამებრ მოაზოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის თბილ ჰაერში ხარობენ.

ბეთანიშვილის ბაღში არის ამ ყამად ორასი ჩონის ეარღისა, ბურბონისა, რუმინტატივისა და სხვა ნაირი ეარღების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკეთესო რუსეთის ღვეროპის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიქვეული და ლიბანოს კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირგვეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუღამ მწუანობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთლოლი სცივიათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათანავე უფ-ც სოად იგზაენება.